

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი(თანამდებობის პირი) – ოთარ ალადაშვილი

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს წევრი

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია „ქართული ოცნება“

კომისიის დასახელება - ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია  
არჩევის წესი - მაქორიტარული (სიღნაღი, სოფ.ტიბაანი)

საანგარიშო პერიოდი - 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 27 ოქტომბრამდე  
ანგარიშის ტიპი(რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 18

\*საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 10

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 7

\*კომისიის სხდომებზე დასწრება - 4

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 0

\*ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 0

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები - 0

ინიცირებული საკითხებზე გამოიცა სამართლებრივი აქტი - 0

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

საკრებულოს სხდომებზე გამოტანილი, ჩემ მიერ მხარდაჭერილი ყველა საკითხი, რომლის განხილვაშიც მივიღე მონაწილეობა, იყო მნიშვნელოვანი. გამოვყო რამოდენიმე მირითად საკითხს, რომელიც ჩემს მიერ იქნა მხარდაჭერილი:

ა) ბიუჯეტის დამტკიცება და მასში მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინება პრიორიტეტების მიხედვით.

ბ) ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით პასუხისმგებელი პირების მოხსენებები.

გ) მოქალაქეთა სოციალური მდგრადირეობის გასაუმჯობესებლად შემოსული საკითხები.

დ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (საბავშვო ბაღების) პერსონალისთვის ხელფასების გაზრდის საკითხი.

ე) „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები. ასევე სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.

6. საკრებულოს წევრის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტები:

- ა) სოფ. ტიბაანის №12 საბავშვო ბაღში სანტექნიკური მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოები;
- ბ) სოფ. ტიბაანის სამუსიკო სკოლის გაზიფიცირება;
- გ) სოფ. ტიბაანში გარე განათების მოწყობის სამუშაოები.

აღსანიშნავია ის საკითხიც, რომ სოფელ ტიბაანის მოსახლეობის მოთხოვნით, დემონტაჟი გაკეთებულიყო სოფელში მდებარე ძველი კულტურის სახლის, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია და მისი ამ მდგომარეობაში არსებობა საფრთხის შემცველია. სოფელ ტიბაანის მერის წარმომადგენელთან ერთად აღნიშნული საკითხის შესწავლა ვთხოვე მერიას, რის თაობაზეც მიმდინარეობს შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და ახლო მომავალში მოხდება შენობის აუქციონზე გატანა დემონტაჟისთვის.

7. ის საკითხები, რომელსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა - 0

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 23 და თითოეულ შეხვედრაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა 80-90.

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული მირითადი საკითხები

დასაქმებასთან დაკავშირებული, სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხები.

ასევე მოსახლეობის მხრიდან არაერთი მოთხოვნა მოვისმინე სასმელ და სარწყავ წყალთან დაკავშირებით არსებული პრობლემების მოგვარებაზე, რომელიც მერიასთან შეთანხმებით აისახება მომავალი წლის ბიუჯეტში.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები

(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მიმდინარე წლის განმავლობაში იყო ბევრი კონკრეტული საკითხი მოქალაქეთა მხრიდან, რომელიც ჩემი, როგორც სოფლის მაჟორიტარის შუამდგომლობით საჭიროებდა მოგვარებას. გამოვყოფ რამოდენიმე მათგანს, კერძოდ, სოფელში პრობლემა შეიქმნა მოზარდებისთვის საქიდაო დარბაზის არარსებობით, რის გამოც რამოდენიმე ათეულ ახალგაზრდას ხელი ეშლებოდა ვარჯიშში. აღნიშნულთან დაკავშირებით მომმართა ერთერთი ბავშვის მშობელმა, რის შემდგომაც მუნიციპალიტეტის მერთან და შესაბამისი სამსახურის უფროსთან კომუნიკაციის შემდგომ გამოვნახეთ სოფელში შესაბამისი ფართი ბავშვებისთვის და დაუყოვნებლივ მოგვარდა აღნიშნული პრობლემა.

შემდეგი საკითხი ეხება ასევე სპორტს, კერძოდ, სოფელში არსებობს საფეხბურთო მოედანი, სადაც ვარჯიშობს ათეულობით ბავშვი, რომელთაც არ აქვთ შესაბამისი ინფრასტრუქტურა, გასახდელები, საშხაპე, საპირფარეშო და ასე შემდეგ. რაც მათ სპორტულ ცხოვერებას ხელს შეუწყობს. ამიტომ აქტიურად ჩავერთე აღნიშნული პრობლემის მოსაგვარეზლად, ბავშვების

მწვრთნელთან ნუგზარ ნაცვლიშვილთან ერთად, რაც ასევე წარმატებით დასრულდა და მომავალ წელს, პროექტ „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება აღნიშნული პროექტი.

ასევე იყო ერთეული შემთხვევები ზაფხულის განმავლობაში სასმელ წყალთან დაკავშირებით, რაც მერიის შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაციის შედეგად მოვაგვარეთ.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ექსპლუატაციაში შევიდა სასმელი წყლის ჭაბურღილი, რომელიც უზრუნველყოფს სოფელ ტიბაანის ერთ კონკრეტულ უბანს და მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე და წყლის დებეტის ჭარბი რაოდენობის გამო, შევიმუშავეთ გეგმა, რომ დავამატოთ შესაბამისი ზომის ავზი ჭაბურღილს და სასმელი წყალი დამატებით მიერჩიდოთ კიდევ სხვა პრობლემურ უბანს.

---

#### 11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

რეკომენდაცია გაეწია მოქალაქეებს ფინანსური დახმარების მისაღებად, რომელიც მირითადად ესაჭიროებოდათ სამედიცინო ოპერაციების დასაფინანსებლად და მედიკამენტების საყიდლად. რეკომენდაცია გაცემულ იქნა მხოლოდ იმ მოქალაქეებზე, რომლებიც აკმაყოფილებდნენ მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.

შევსების თარიღი: 23.10.2019 წელი

წარდგენის თარიღი: 27.10.2019 წელი

ხელმოწერა: 